ეროვნული ბიბლიოთეკა

171
1959

E

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

12

დეკემბერი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივი

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

1959 წელი 17 ნოემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა კოლექტივების 1959 წლის მე-6 საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ განათლების ორგანოებმა 1958—1959 სასწავლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად.

უძლიერეს სპორტსმენთა გამოვლინებისა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტების მიზნით წინასწარ ჩატარდა შინასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური შეჯიბრებანი სპორტისა და სპარტაკიადის ცალკეული სახეების მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1958 წლის დეკემბერში და 1959 წლის თებერვალსა და მარტში სპორტული სკოლების დირექტორებთან და მწვრთნელებთან ჩაატარა სპეციალური შეკრებები და თათბირები სპორტის ცალკეულ სახეებში, სადაც განხილულ იქნა და დაზუსტდა გუნდების შემადგენლობა, მიეცათ დავალებანი სპორტსმენთა წვრთნის შესახებ. ჩატარდა 10-მდე დიდი ღონისძიება, რამაც ხელი შეუწყო ნაკრები გუნდებისათვის კანდიდატთა გამოვლინებას სპორტის სხვადასხვა სახეში: ველო-სპორტში, ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, წყალში ხტომასა, ტანვარჯიშსა და მაგიდის ჩოგბურთში. დამატე-

ბით გაიხსნა 100 ჯგუფი წამყვან სპორტულ სკოლებში, ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები ნაკრები გუნდებისათვის და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნულის შედეგია ის, რომ სპორტსმენმა ბავშვებმა მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადაზე მოიპოვეს 51 მედალი, მათ შორის 9 ოქროს, 9 ვერცხლის და 33 ბრინჯაოს მედალი. ვაჟთა გუნდმა ჩოგბურთში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო ვაჟთა გუნდმა ფრენბურთში—მეორე ადგილი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მეტად არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ ვაჟთა და ქალთა გუნდები კალათბურთში. მათ დაიკავეს მე-9 და მე-12 ადგილები (ნაცვლად პირველი და მეორე ადგილებისა წარსულ სპარტაკიადაზე); ველოსპორტში—მე-9 და მე-11 ადგილები (ნაცვლად მე-9 და მე-4 ადგილებისა); მძლეოსნობაში მე-9 და მე-10 ადგილები (ნაცვლად მე-4 ადგილისა გასულ წელს); ტანვარჯიშში მე-4 და მე-5 ადგილები (ნაცვლად პირველისა); ნიჩბოსნობაში მე-7 და მე-12 (ნაცვლად პირველისა გასულ სპარტაკიადაზე) და ა. შ.

კოლექტივების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლების ძირითადი მიზეზები იყო: სპორტული სკოლების შემადგენლობის მკვეთრი გაუარესება, რაც გამოიწვია მე-11 და მე-10 კლასების ერთდროულად გამოშვებამ.

მე-11 რესპუბლიკურ სპარტაკიადაში (ქ. თბილისი) გამარჯვებული გუნდები მათი სისუსტის გამო ვერ გამოდგნენ სრულფასოვანი ნაკრები გუნდების დაკომპლექტების ბაზად, განსაკუთრებით სპორტულ თამაშობებში, რაიონების სპორტულმა სკოლებმა კი ვერ შესძლეს შესაფერისი კონტინგენტის მომზადება ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად, განსაკუთრებით კალათბურთში (მაღალი ტანის მოთამაშენი), ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, სროლაში, წყალში ხტომასა, ტანვარჯიშსა და სპორტის სხვა სახეებში. გარდა ამისა, არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი სპორტული ბაზები, როგორც ნაკრები გუნდების, ისე მომავალი წლების გუნდების წვრთნისათვის.

მე-2 რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით განათლების, ფიზკულტურისა და კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, წყალტუბო და სხვ.) სათანადოდ არ ზრუნავდნენ სპორტის სხვადასხვა სახეებში ნაკრები გუნდების წევრების დროულად განთავისუფლებისა და მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სრულფასოვანი ერთობლივი წვრთნის ჩატარებისათვის.

მონაწილეთა ძირითადი მასა დაკავებული იყო მოზრდილთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გამოსვლით და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩაბარებით, გარდა ამისა, შემცირდა VI სპარტაკიადისათვის მზადების ვადები, ყოველივე ამან განაპირობა ადგილზე და ქ. მოსკოვში სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარების დაბალი ხარისხი.

გუნდების არადამაკმაყოფილებლად გამოსვლის საქმეში პირველ რიგში ბრალი მიუძღვით წამყვან მწვრთნელებს, რომლებიც წლის განმავლობაში უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ნაკრები გუნდების დაკომპლექტებასა და მომზადებას სპორტის ცალკეულ სახეებში: კალათბურთში—გ. ბაბახანიდი, ველოსპორტში—ვ. ჯონჯოლიანი, გ. ესაიანი, კ. შენგელია და გოგუაძე (ქ. ბათუმი); წყალში ხტომაში—ბ. ინწკირველი, ტ. ინწკირველი, ა. ესიკოვსკი; ტანვარჯიშში—კ. გრომოვი, ი. ოგანოვი; მძლეოსნობაში—შ. ტრანკაშვილი, ვ. ქადეიშვილი, დ. ეფრემაშვილი, ა. კერსელიანი, ვ. ვდოვინი და სხვები; ნიჩბოსნობაში—მწვრთნელები თ. ალიბეგაშვილი, ტ. ნეგეფტოვი, ი. ჩხაიძე; მაგიდის ჩოგბურთში—ლოლაძე და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შედიოდნენ რესპუბლიკის მხოლოდ 20 ქალაქისა და რაიონული ცენტრების წარმომადგენლები, ამასთან თბილისიდან 165 მოსწავლე, სოხუმიდან და ტყვარჩელიდან 28, ბათუმიდან და ქუთაისიდან — 26 — 26, სტალინრიდან — 6, მცხეთიდან — 7, ზუგდიდიდან, რუსთავიდან და დუშეთიდან 3—3, ფოთიდან—2 მოსწავლე და თითო მონაწილე გორიდან, ახალციხიდან, გეგეჭკორიდან, ჭიათურიდან, წყალტუბოდან, ზესტაფონიდან, მახარაძიდან, დმანისიდან და ონიდან.

დანარჩენი 45 რაიონი, მათ შორის: ახალქალაქის, ბორჯომის, გურჯაანის, სამტრედიის, ტყიბულის, თელავის, სიღნაღის, ხაშურის, წულუკიძის, ცხაკაიას რაიონები, სადაც სპორტული სკოლები არსებობს, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ნაკრები გუნდებისათვის ღირსეული კანდიდატების გამოვლინებასა და მომზადებას, რის შედეგად მათ ვერ შესძლეს ვერც ერთი სპორტსმენის მიცემა ამ გუნდებისათვის.

განათლების სამინისტრომ და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა ვერ შესძლეს გუნდების მომზადებაში შექმნილი ზემოაღნიშნული სიძნელეების გადალახვა. არასაკმაოდ იყო მობილიზებული განათლებისა და ფიზკულტურის ადგილობრივი ორგანოების ყურადღება ყოფილი ნაკრები გუნდების შემცვლელთა გამოვლინებისა და მომზადებისათვის, არასაკმაოდ იქნა

გამოყენებული აგრეთვე მეორე სკოლა-ინტერნატი ნაკრები გუნდის წევრ-მოსწავლეთა ქ. თბილისში გადმოსაყვანად, მთელი წლის მანძილზე წვრთნის მოწყობის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტრო, სპორტულ საზოგადოებათა კავშირის საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სერიოზული მიზეზებისა, რამაც გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა გუნდების შესუსტება მე-5 სპარტაკიადის შემდეგ და განაპირობა მათი წარუმატებლობა მე-6 საკავშირო სპარტაკიადაზე (მე-6 ადგილი 19 კოლექტივიდან), ეს შედეგები ვერ აკმაყოფილებს განათლების სამინისტროს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

მორიგი მე-12 რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის სკოლების უკეთ მომზადების, რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მთელი წლის მანძილზე მზადებისა და მათი საკავშარო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. XII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩასატარებლად და მე-7 საკავშირო სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთაგან.

2. საორგანიზაციო კომიტეტმა 1959 წლის 1 დეკემბრამდე დაამტკიცოს მოსწავლეთა მე-12 რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულება, რისთვისაც შესაბამისი ფედერაციების მიერ წინასწარ იქნეს განხილული სპეციალურ თათბირებზე ნაკრები გუნდების კანდიდატების შემადგენლობა, საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ღონისძიებათა ჩატარების თარიღები და სათანადო ხარჯთაღრიცხვები.

3. წინადადება მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირებს, განათლებისა და კომკავშირის ორგანოებთან ერთად ა/წლის 1 დეკემბრამდე ადგილებზე შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები ადგილობრივი სასკოლო სპარტაკიადების ჩასატარებლად და გუნდების მოსამზადებლად მოსწავლეთა XII სპარ-

ტაკიადაში მონაწილეობისათვის, ამასთან წინასწარ განიხილონ მოსწავლეთა მე-11 რესპუბლიკურ სპარტაკიადაში რაიონის მონაწილეობის შედეგები.

4. დაევალოს გაზეთების—„ლელოს“, „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდოი სტალინეცის“ რედაქტორებს გამოაქვეყნონ მე-11 რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების ცხრილი და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მონაწილეობის ცხრილი.

5. რაიონების სპორტული სკოლების დირექტორებს: რ. კ. ბაკარიანს (ახალქალაქი), გ. ზ. ფილიევს (ბორჯომი), ვ. ა. ქაჩლიშვილს (გურჯაანი), ო. ბეგაშვილს (სიღნაღი), გ. ღონღაძეს (ხაშური) და ო. გოგავას (წულუკიძე) ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად კანდიდატების გამოვლინებისა და მომზადების საქმეში სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

6. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეებსა და საქართველოს ალკკ რაიკომების მდივნებს—ამხანაგებს: ვ. ვართანიანს, კ. ოვანოლლიანსა და გაბრიელიანს (ახალქალაქი), მიასნიკოვს, ი. ამილახვარსა და მ. გელაშვილს (ბორჯომი), ა. ქავთარაძეს, ვ. ჯაჯანიძესა და გურგენიძეს (გურჯაანი), ვ. ნასარაიას, ვ. ოქრუაძესა და გოგიას (ტყიბული), ა. ნადაშვილს, ა. მაისურაძესა და მ. მეზვრიშვილს (თელავი), ვ. შოშიაშვილს, თ. ბეჟაშვილსა და ყანდაშვილს (სიღნაღი), კ. მესხს, ვ. ჩიქოვანსა და მათიაშვილს (ხაშური), მ. კოპალიანს, ჩარგეიშვილსა და ჩხენკელს (წულუკიძე), ი. კერძაიას, შ. ჩიქობავასა და განგიას (ცხაკაია)—მიეთითოთ და გაფრთხილებულ იქნან რომ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ზომების გაუტარებლობის შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება დასჯის მკაცრი ზომები.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარეები ამხ. რ. ხიკუბა და ამხ. შ. მჟავანაძე, წყალტუბოს რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თალაკვაძე, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები გ. ჩუკბარი და დ. თებიძე, წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. თევდორაძე, რომელთაც არ გაათავისუფლეს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში მოხვედრილი ბავშვები სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე გასაგზავნად, არ შეასრულეს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავ-

შირის საბჭოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულება, გაფრთხილებულ იქნან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. კომისიამ ამხ. ამხ. გ. სიხარულიძის, თ. ზახაშვილის, თ. ბადურაშვილის, ი. ბოჭორიძის და გ. მერკვილაძის შემადგენლობით გადასინჯოს სპორტული სკოლების ქსელი და კონტინგენტი სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით, რათა დადგენილ იქნეს სპორტსკოლის პროფილი და სპორტის გარკვეულ სახეებში სპეციალიზაცია, სკოლის მატერიალური ბაზისა და მწვრთნელთა შემადგენლობის გათვალისწინებით.

9. დაევალოს ამხ. ვ. სამსონაძეს, მთავარ მწვრთნელებსა და ფედერაციების პრეზიდიუმებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ერთად ორი კვირის ვადაში შეარჩიონ უფროს მწვრთნელთა კანდიდატები სპორტის ყველა სახეში, რაც შედის სპარტაკიადის პროგრამაში და წარუდგინონ საორგანიზაციო კომიტეტს.

10. კომისიამ ამხანაგების შემადგენლობით: თ. ზახაშვილი (განათლების მინისტრის მოადგილე) თ. ეგაძე (ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე), გ. რცხილაძე (სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების თბილისის კავშირი), ი. ჭანტურია, გ. მერკვილაძე, ი. ბაცელაშვილი—ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს ღონისძიებანი:

ა) ქ. თბილისის სკოლებსა და სპორტსკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობის ფორმების ორგანიზაციის შესახებ;

ბ) რაიონული საბავშვო სპორტული სკოლების სპეციალიზებულ სპორტსკოლებად რეორგანიზაციისა და სპორტის სახეების მიხედვით ჯგუფების გადანაწილების შესახებ;

გ) ქალაქის სკოლებისა და სპორტული სკოლების მატერიალური ბაზებით უზრუნველყოფის შესახებ (რემონტი, ინვენტარის შეძენა და სხვა).

11. ეთხოვოს ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ა. მელაძეს):

ა) აღმასკომის სხდომაზე მოისმინოს ქ. თბილისში სასკოლო მოედნების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის საკითხი;

ბ) თბილისის განათლების განყოფილების ფეხბურთის სკოლას გამოუყოს მიწის ნაკვეთი ვაკეში—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და სტუდქალაქს შორის, აგრეთვე სახსრები საწვრთნელი მინდვრის მოსაწყობად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეაკეთოს მოედანი კომუნარების ბაღში და გადააქციოს იგი სპორტსკოლის მუშაობის ბაზად ფრენბურთში;

დ) დაავალოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომებს თითოეულ რაიონში გამოყონ თითო სკოლა სააქტო დარბაზით მაგიდის ჩოგბურთის ბაზების მოსაწყობად და უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით (მაგიდები, რაკეტები, ბურთები და ელნათურები);

ე) დაავალოს საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ქ. თბილისის განათლების განყოფილების განაცხადის საფუძველზე გამოყოს 2-3 მანქანა ქალაქგარეთ საწვრთნელად გასასვლელ მსროლელთა, ველოსიპედისტთა და ნიჩბოსანთა მომსახურებისათვის;

ვ) დაავალოს რაიფინგანყოფილებებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სპორტული ბაზების საფინანსო გეგმების დამტკიცებისას გაითვალისწინონ მოსწავლეთათვის დღის საათების გამოყოფა ბაზებში (8-დან 18 საათამდე ჩათვლით) უფასოდ და მათი საფინანსო გეგმები დაამტკიცონ დანარჩენი საათების შემოსავლის მიხედვით.

12. განათლების სამინისტრომ ჩააბაროს მე 11 სპარტაკიადაზე გამარჯვებულთა დაჯილდოება (დაჯილდოების შესახებ არსებული დებულების შესაბამისად) მოსწავლეთა მე-6 საკავშირო სპარტაკიადაზე მათი გამოსვლების შედეგების გათვალისწინებით.

13. დაევალოს ამხანაგებს ვ. ა. სამსონაძეს. გ. ა. საყვარელიძეს, გ. მერკვილაძეს, ი. ბაცელაშვილს მოამზადონ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დისლოკაცია და წარუდგინონ საორგანიზაციო კომიტეტს 1959 წ. 15 დეკემბრისათვის.

14. დაევალოს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას (ამხ. ბარხუდაროვს) სათანადო რაოდენობით გამოუყოს განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტულ სკოლებს საჭირო სპორტული ინვენტარი და ფორმები.

15. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კავშირებმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სისტემატურად შეამოწმონ და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაყენების საქმეში.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შინასასკოლო, სკოლათაშორისო, რაიონული, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებიბის გეგმიანად ჩატარებას სპორტის ცალკეულ სახეებში; არ დაუშვან სპორტული კალენდარის პარალელიზმი და მოსწავლეთა გადატვირთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი	**გ. ნ. ჯიბლაძე**
საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მ დ ი ვ ა ნ ი	**გ. შევარდნაძე**
საქ. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე	**გ. სიხარულიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა

№ 1/2108

1959 წლის 26 ნოემბერი

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში არდადეგების ჩატარებისა და მეცადინეობის დამთავრების ახალი ვადების შემოღებასთან დაკავშირებით სკოლების სამმართველოს 20/X № 1/1942 ცირკულარული წერილის მესამე პუნქტში მითითებულია, რომ VIII, IX და X კლასებში სასწავლო წელი გაიყოფა ორ ნახევარწლად და არა მეოთხედებად.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სასწავლო წლის მეოთხედებად დაყოფა ყველა (I—X) კლასისათვის მიმდინარე სასწავლო წელს დატოვებულია ძალაში. ამგვარად, უფროს (VIII—X) კლასებში წლიური ნიშნები ყოველ საგანში მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყვანება II, III, IV მეოთხედების შეფასებათა საფუძველზე.

გევალებათ სასწრაფოდ დაიყვანოთ ეს განმარტება ყველა სკოლამდე.

სკოლების სამმართველოს
უფროსი **გ. საყვარელიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**
27 ნოემბერი, 1959 წ.

მ ი თ ი თ ე ბ ე ბ ი

X კლასში ავტომობილის (ტრაქტორის) მართვის დაუფლებისათვის მეცადინეობის ჩატარების შესახებ

X კლასში მოსწავლეების მიერ ავტომობილის (ტრაქტორის) მართვის პრაქტიკულად დაუფლებისათვის სასწავლო გეგმის ზევით თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილი 10 საათიანი მეცადინეობის ჩასატარებლად საჭიროა:

1. კლასი დაიყოს რგოლებად 3—4 მოსწავლის შემადგენლობით;

2. შედგეს სპეციალური სამეცადინო ცხრილი იმ ვარაუდით, რომ თითოეული მოსწავლისათვის ვარჯიში მოეწყოს კვირაში ორჯერ, დღეში 30 წუთის ხანგრძლიობით;

3. მეცადინეობა დაიწყოს II მეოთხედში და ჩატარდეს გაკვეთილების შემდეგ იმ ანგარიშით, რომ მუშაობა კლასთან დასრულდეს აპრილის ბოლომდე;

4. ვარჯიში მოეწყოს სკოლაში (სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე, თუ ამის შესაძლებლობა არის), აგრეთვე ავტოსკოლაში, ავტოკლუბებთან (სარემონტო ტექნიკურ სადგურში, კოლმეურნეობაში), მათთან სათანადო მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე;

5. მეცადინეობისათვის გამოყენებულ იქნეს სასწავლო ავტომობილი (ტრაქტორი), რომლის ტექნიკური წესივრულობა წინასწარ შეამოწმოს სათანადო სპეციალისტმა, ხოლო მეცადინეობის დაწყების წინ იგი შესწავლილ იქნეს იმ მასწავლებლის მიერ, რომელიც მეცადინეობას ატარებს;

6. მასწავლებლად შეირჩეს სათანადო სპეციალისტი I ან II კლასის მძღოლი (გამოცდილი ტრაქტორისტი), რომელსაც სკოლის

სათანადო მიმართვის საფუძველზე ავტოინსპექციიდან (სარეგისტ-ტექნიკური სადგურიდან) მიეცემა მოსწავლეებთან მეცადინეობის ჩატარების ნებართვა;

7. სასწავლო ავტომობილზე დამატებით მოეწყოს სატერფე ქურის გამოსართავად და დამუხრუჭებისათვის, ხოლო ტრაქტორზე გაკეთდეს დასაჯდომი მასწავლებლისათვის.

8. პრაქტიკული მეცადინეობის დროს ავტომობილზე (ტრაქ-ტორზე) იმყოფებოდეს მხოლოდ ის მოსწავლე, რომელთანაც ვარ-ჯიში ტარდება;

9. ავტომობილის (ტრაქტორის) მართვისას განუხრელად იქნეს დაცული უსაფრთხოების წესები. ავტომობილის (ტრაქტო-რის) ადგილიდან დაძვრის წინ გულდასმით შემოწმდეს, რომ გზა თავისუფალია;

10. აიკრძალოს რაიმე ნაწილის გასწორება, შეკეთება და სხვ. ავტომობილის (ტრაქტორის) მოძრაობის დროს.

თითოეულ მოსწავლესთან მეცადინეობისათვის გათვალისწინე-ბულ დროში (10 საათი) ავტომობილის (ტრაქტორის) მართვის დაუფლებისათვის ვარჯიში უნდა ჩატარდეს შემდეგი პროგრამით:

I. წინასწარი ვარჯიში (2 საათი)

1. ავტომობილზე (ტრაქტორზე) მართვის ორგანოების გან-ლაგებისა და მათი დანიშნულების გაცნობა. ვარჯიში ცალკეული ბერკეტებისა და სატერფეების გამოყენების ხერხებზე. ვარჯიში ბერკეტებისა და სატერფეების (გადაბმულობისა და სადროსელო საფარის, გადაბმულობისა და გადაცემათა კოლოფის ბერკეტის, გადაბმულობისა და მუხრუჭების და სხვ.) ერთდროულად გამოყე-ნების ხერხებზე.

2. ავტომობილის (ტრაქტორის) საწვავით გაწყობა, ზეთის გა-მოცვლა ძრავაში. გაცივების სისტემის წყლით გაწყობა. მექანიზმე-ბის ცალკეულ წერტილთა შეზეთვა რუკის მიხედვით. ავტომობი-ლის ყოველდღიური ტექნიკური მოვლა.

II. ავტომობილის (ტრაქტორის) მართვა მოძრაობის დროს (8 საათი)

1. ძრავას ამუშავება და ავტომობილის (ტრაქტორის) დაძვრა ადგილიდან. გაქანება და გადაცემათა გადართვა აღმავალი და დაღმავალი რიგით, პირდაპირი მოძრაობა, დამუხრუჭება და გა-ჩერება.

2. ავტომობილის (ტრაქტორის) მართვა მოსახვევებში, უკუსვლით მოძრაობა. ავტომობილის მობრუნება: პირდაპირი სვლით ჭიშკარში შესვლა და ჭიშკრიდან გამოსვლა.

3. ვარჯიში ქალაქის ქუჩაზე მოძრაობის პირობებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა სკოლას არ ექნება საათანადო პირობები (არ ეყოლება სასწავლო ავტომობილი და კვალიფიციური მასწავლებელი მეცადინეობის ჩასატარებლად), ზემოაღნიშნული პრაქტიკული მეცადინეობა X კლასის მოსწავლეებთან არ ჩატარდება და ამ მიზნისათვის გათვალისწინებული საათები გამოუყენებელი დარჩება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1359

1959 წ. 27 ნოემბერი

აჭარის ასს რესპუბლიკის, ს/ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქ. ჭიათურის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

გავეცანი რა მასალას აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ.ქ. ჭიათურის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი განათლების ადგილობრივი ორგანოსა და სკოლების დირექტორების მხრივ ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივი საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების შედეგად სკოლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა არ სრულდება.

აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში გეგმასთან შედარებით 1309 მოსწავლით ნაკლები ირიცხება. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სკოლებში ნაცვლად 8023 მოსწავლისა სწავლობს 7440 მოსწავლე ე. ი. 583 მოსწავლით ნაკლები. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე ქ. თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრის სახელობის რაიონებისა და ქ. ქ. ჭიათურისა და რუსთავის სკოლებში.

ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით განთესვის შემთხვევებს. 1958—1959 სასწავლო წლის განმავლობაში განითესა: ს/ოსეთის ა/ოლქის სკოლებიდან 259, აჭარის ასს რესპუ-

ბლიკის სკოლებიდან 96, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებიდან—19, 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლებიდან 14 მოსწავლე.

ხშირ შემთხვევაში განათლების ადგილობრივ ორგანოებს არ მოეპოვებათ ზუსტი ცნობები მოსწავლეთა სკოლებიდან განთესვის შესახებ. ქ. თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილებაში არსებული მასალების მიხედვით სკოლის გარეთ დარჩენილია სასკოლო ასაკის 114 ბავშვი. შემოწმებით კი დადასტურდა, რომ რაიონის მარტო 7 სკოლის მიკრორაიონის მიხედვით სწავლებაში ჩაუბმელია სასკოლო ასაკის 109 ბავშვი, მათ შორის მხოლოდ ქესალოს საშუალო სკოლიდან, გასული სასწავლო წლის განმავლობაში, განთესილია 66 მოსწავლე.

ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილებაში არსებული მასალების მიხედვით, რაიონის სკოლებიდან 1958—1959 სასწავლო წელს განითესა I—VII კლასებიდან 153 ბავშვი, ადგილზე შემოწმებით კი გამოირკვა, რომ რაიონის სკოლების გარედ დარჩენილია 7—15 წლის ასაკის 217 ბავშვი.

რიგ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენების შედეგად დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი, ბევრი მათგანი ჩამორჩება სწავლაში, რის შედეგადაც სტოვებს სკოლას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების 2527 მეორეწლიანი მოსწავლიდან მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლებში არ გამოცხადებულა 461 მოსწავლე, ბევრი მეორეწლიანი მოსწავლე არ გამოცხადებულა მიმდინარე სასწავლო წელს ქ. ჭიათურის, ქ. თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების რიგ სკოლებში.

ადგილი აქვს მოსწავლეთა მასობრივად დატოვების შემთხვევებს პირველ კლასებში. აჭარის ასსრ სკოლების პირველ კლასებში დატოვებულია 739 მოსწავლე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებში 338, ქ. ჭიათურის სკოლებში—121, ქ. თბილისის სამგორის რაიონის სკოლებში—168 მოსწავლე.

ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე არადამაკმაყოფილებელია. არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც შუახევის რაიონის ტაკიძეების 7 წლიანი, ოლადაურის და ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი არ ესწრება მეცადინეობას.

განათლების ადგილობრივი ორგანოები არ ღებულობენ საჭირო ზომებს მოსწავლეთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისათვის ყველა აუცილებელი პირობის შესაქმნელად. არ ეწევა

საჭირო მატერიალური დახმარება ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს, არ არის ორგანიზებული სკოლიდან შორს მცხოვრები ბავშვების რეგულარული მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასოდ, სათანადო ტრანსპორტით. არ არის შექმნილი მოსწავლეთა ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები რიგ სასკოლო ინტერნატებში. საცხოვრებელი ადგილიდან სკოლის სიშორის გამო არ სწავლობს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებში 93 ბავშვი, მაშინ, როდესაც ოლქის სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას აკლია 257 მოსწავლე. ქ. თბილისის სამგორის რაიონის სკოლებში აღნიშნული მიზეზის გამო არ სწავლობს 73 ბავშვი. ოჯახური პირობების გამო 1958—1959 სასწავლო წლის განმავლობაში ჩამოშორდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებს 54, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლებს — 73 მოსწავლე.

რიგ სკოლაში თანმიმდევრული, გონივრული პედაგოგიური ღონისძიებების გატარების ნაცვლად, ხელაღებით აწარმოებენ მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვას. მარტო აჭარის ასსრ სკოლებიდან გასული სასწავლო წლის განმავლობაში გარიცხულია სხვადასხვა მიზეზის გამო 163 მოსწავლე.

ბევრი მოსწავლე სტოვებს სკოლას წარმოებაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყების გამო. განათლების ორგანოები კი არ უწევენ მათ დახმარებას საღამოს ან დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის გზით განათლების მისაღებად. მუშაობენ და არ სწავლობენ აჭარის ასს რესპუბლიკაში - 237, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 225, ქ. თბილისის სამგორის რაიონში — 100 მოზარდი. ამათგან 1/3--ს არ აქვს დასრულებული შვიდწლიანი განათლება.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა აღრიცხვის საქმე რიგ რაიონსა და სკოლაში. სკოლების დირექტორები (გამგეები) საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმისათვის, რომ მოსწავლეთა აღრიცხვის საქმეში სრული წესრიგი დამყარდეს. ხშირად ისინი არაზუსტ, ზერელე ცნობებს უდგენენ სათანადო ორგანოებს მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ (ქ. რუსთავის 1-ლი და მე-5 საშუალო სკოლები). ზოგჯერ სკოლები კლასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით, განათლების განყოფილებებს აწვდიან არასწორ, ფიქტიურ ცნობებს. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის ანდორეთის დაწყებითი სკოლის გამგემ ვ. სიუკაევმა განათლების განყოფილებას I — IV კლასებში, ნაცვლად 15 მოსწავლისა, უჩვენა 22 მოსწავლე, რითაც მიაღწია მასწავლებლის ორი განაკვეთი მიეღო. ამავე რაიონის არკინარეთის

დაწყებითი სკოლის გამგემ ვ. ჩოჩიევამ ნაცვლად 12 მოსწავლისა უჩვენა 17, რითაც მან მიიღო 1,5 განაკვეთი, ნაცვლად 1 განაკვეთისა. მამიანთუბნის დაწყებითი სკოლის გამგემ ს. მამიევმა III კლასში დატოვებული მოსწავლე შეიტანა როგორც III, ისე IV კლასის ჟურნალში, რითაც მან მიაღწია ხელფასის გადიდებას. ქსუისის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა ვ. გაბარაევმა კლასების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით, სტატისტიკურ მასალებში, მეექვსე კლასების მოსწავლეთა რაოდენობა ნაცვლად 57-ისა უჩვენა 63.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ ძ რ ძ ა ნ ე ბ:

აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის. ქ.ქ. ჭიათურის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლის დირექტორებთან ერთად:

1. უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილების შესაბამისად; დაამყარონ სათანადო წესრიგი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში.

2. მიიღონ ქმედითი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში დასაბრუნებლად და შეუქმნან მათ ყველა საჭირო პირობა ნორმალური მეცადინეობისათვის.

თანმიმდევრული ღონისძიებანი გაატარონ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შესანარჩუნებლად.

3. სისტემატურად და ღრმად შეისწავლონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობა და შედეგი განიხილონ კოლეგიისა და განათლების საბჭოს სხდომებზე; მიაღწიონ იმას, რომ ამ საქმეში ფართოდ იქნენ ჩაბმულნი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მშობელთა აქტივი, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივები, რომლებიც სკოლებს უწევენ შეფობას, კოლმეურნეობათა გამგეობები. საჭირო შემთხვევებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საკითხები დააყენონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

4. მკვეთრად აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა მიერ გაკვე-

თილების არასაპატიო მიზეზით გაცდენების, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ.

5. საჭირო ზომები მიიღონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და ერთცვლიან მეცადინეობაზე უახლოეს დროში გადასვლის უზრუნველსაყოფად.

6. შექმნან სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად და სათანადო მატერიალური დახმარება გაუწიონ უდედმამო და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს.

7.სოფელ ადგილებში უზრუნველყონ სკოლიდან შორს მცხოვრები მოსწავლეების რეგულარული მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასოდ, სათანადო ტრანსპორტით.

8. აღმოუჩინონ დახმარება წარმოებასა და კოლმეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდობას სკოლებში ჩაბმის გზით სათანადო განათლების მიღებისათვის.

9. შეამოწმონ სკოლების მზადყოფნა ზამთრისათვის და მიიღონ სასწრაფო ზომები ყველა სკოლის სათბობით უზრუნველსაყოფად.

10. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება. სასკოლო ინტერნატებში მყოფ მოსწავლეებს შეუქმნას ცხოვრებისა და სწავლებისათვის ნორმალური პირობები.

მკაცრი სასჯელი დაადოს იმ სკოლების დირექტორებსა და გამგეებს, რომლებმაც ფიქტიური ცნობების წარდგენის გზით მიაღწიეს გაედიდებინათ კლასების რაოდენობა.

11. აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქ. ჭიათურის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აღნიშნული ბრძანება გააცნონ სკოლის დირექტორებს (გამგეებს), დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და ა/წლის 30 დეკემბრამდე წერილობითი ანგარიში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 23 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1365

1959 წლის 28 ნოემბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა ზამთრისათვის მზადების საქმეს. დროულად შეიძინეს და შეაკეთეს ღუმელები, მიზიდეს ადგილზე საწვავი, წესრიგში მოიყვანეს შენობა-ნაგებობები. საკმაო რაოდენობით შეიძინეს საჭირო ტანსაცმელ—ფეხსაცმელი და მზად არიან ზამთრისათვის. ასეთები არიან ქ. თბილისის უსინათლო, ყრუმუნჯ ბავშვთა, პირველი დამხმარე სკოლა-ინტერატები, კოჯრის პირველი, მესამე, მეხუთე, ლენინგორის, ქ. მახარაძის, ქ. თელავის, მახინჯაურის საბავშვო სახლები და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა საბავშვო სახლმა ვერ უზრუნველყო ზამთრისათვის მზადყოფნა. ქ. თბილისის ვაკის საბავშვო სახლში რემონტი უხარისხოდ ჩატარდა, სახურავიდან წყალი ჩამოდის, მინები ჩამტვრეულია, საწვავი საკმაო რაოდენობით არა აქვთ, აღსაზრდელებს აკლია პალტო, შარვალი ხელთათმანი, ფეხსაცმელი და სხვ. ოუსთავის საბავშვო სახლშიაც ანალოგიური მდგომარეობაა.

შუამთის, გეგეჭკორის, ნორიოს, კოჯრის № 3, № 6, საჩხერის, ონის და ჭიათურის საბავშვო სახლებს შეჩერებული აქვთ გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები სათანადო თანხების უქონლობის გამო. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის საბავშვო სახლის შენობა-ნაგებობათა აღდგენითი სამუშაოები.

გეგეჭკორის, შუამთისა და ნორიოს საბავშვო სახლების საბარგო ავტომანქანები საბურველის სიძველის გამო გამოსული არიან მწყობრიდან.

ყველა შემოწმებულ საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელებს აკლიათ თბილი წინდები. ქუდები, თბილი შარვალ-ხალათი, ხელთათმანი და სხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მ/წლის 10 დეკემბრამდე დაამთავრონ შენობა-ნაგებობათა რემონტი, საწვავი მასალის ადგილზე მიზიდვა და უზრუნველჰყონ აღსაზრდელები თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

2. კაპიტალური მშენებლობისა და საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებებმა (უფროსები ა. ღადუა და ვ. ჩინჩალაძე) მიიღონ გადამჭრელი ზომები საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების რემონტისათვის გამოყოფილი თანხების ასათვისებლად და უზრუნველჰყონ დარჩენილი სარემონტო სამუშაოების დროულად დამთავრება.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ს. არველაძე) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლები და სპეციალური სკოლა-ინტერნატები საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელითა და საბარგო ავტომანქანების საბურველებით.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) გამოჰყოს საბავშვო სახლებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში 288,0 ათასი მანეთი გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასამთავრებლად.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის ვაკის საბავშვო სახლის დირექტორი ნ. ბახტაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1959 წლის 27 ნოემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა № 6-3/149

28 ნოემბერი, 1959 წ.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლეს ისტორიასა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ახალი წესის შ ე ს ა ხ ებ

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლეს ისტორიასა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში დამოუკიდებელი ნიშნები დაიწერება.

უახლეს ისტორიასა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში მეოთხედური ნიშნები III და IV მეოთხედებში დაიწერება სსრ კავშირის ისტორიისაგან დამოუკიდებლად. მეოთხედური ნიშნების საფუძველზე გამოიყვანება წლიური ნიშნები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მოსწავლეთა დაშვების საკითხის გადაწყვეტისას.

შეფასება მსოფლიო ისტორიაში სიმწიფის ატესტატში შეიტანება უახლესი ისტორიის წლიური ნიშნების საფუძველზე ახალი ისტორიის IX კლასის წლიური ნიშნის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის ნიშანი სიმწიფის ატესტატში შეიტანება გამოსაშვებ კლასში მიღებული წლიური ნიშნების საფუძველზე.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1375

1959 წლის 30 ნოემბერი

სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის, მათი ქსელის გაფართოებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის, მათი ქსელის გაფართოებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ხელმძღვანელ ორგანოებში საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კპ XX ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილმა სკოლა-ინტერნატებმა თავისი არსებობის უმოკლეს დროში მოიპოვეს საყოველთაო აღიარება.

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებმა გარკვეული გამოცდილება დააგროვეს. ყოველდღიურად უმჯობესდება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მეთოდები და ფორმები.

სკოლა-ინტერნატების ქსელის შემდგომი გაფართოების შესახებ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველწლიურად დიდდება სკოლა-ინტერნატების რიცხვი და მოსწავლეთა კონტინგენტი.

ამჟამად რესპუბლიკის 28 სკოლა-ინტერნატში 5310 აღსაზრდელი ითვლება. 1960 წლისათვის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა რიცხვი უნდა გაიზარდოს 2-ჯერ, ხოლო 7 წლედის ბოლოსათვის სკოლა-ინტერნატების რიცხვი გაიზრდება 154-მდე 42.000 აღსაზრდელით.

ბევრ სკოლა-ინტერნატს აქვს შესაფერისი სასწავლო-მატერიალური ბაზა, შექმნილია ხელსაყრელი პირობები მოსწავლეთა ყო-

ველმხრივი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისათვის, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის მათ მოსამზადებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის, გორის, ცხაკაიას, ლანჩხუთის და სიღნაღის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა გამოიჩიხეს კეთილშობილური ინიციატივა საკუთარი სახსრებით სკოლა-ინტერნატების მშენებლობის საქმეში.

ამასთან ერთად, სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მათი კეთილმოწყობისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლა-ინტერნატების მშენებლობა. მიმდინარე წლის მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 71,3%-ით, საძინებელი, სასადილო და სამეურნეო კორპუსების მშენებლობის 9 თვის გეგმა კი 59,5%-ით. ძალზე ცუდად სწარმოებს სკოლა-ინტერნატების მშენებლობა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ორჯონიკიძის საბ. რაიონის სოფ. კიცხში, ქ. თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონებში.

ბევრი სკოლა-ინტერნატი მოუმზადებელი ხვდება ზამთარს. მოუწესრიგებელია გათბობის სისტემა.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სკოლა-ინტერნატების სათბობი მასალით და აღსაზრდელთა საზამთრო ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით მომარაგების საქმე.

სკოლა-ინტერნატებს მთლიანად არა აქვთ მიღებული საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარი. ისინი იშვიათად ღებულობენ ხილს, ბოსტნეულს, თევზეულს, კვერცხს და სხვა აუცილებელ პროდუქტებს.

რიგ სკოლა-ინტერნატებს არა აქვთ დასასვენებელი ოთახები, ფიზკულტურის დარბაზი, პიონერთა ოთახი; სივიწროვეა საცხოვრებლებსა, სასადილოებსა და სხვა სათავსოებში.

ყველა სკოლა-ინტერნატში არ არის შექმნილი აუცილებელი პირობები მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის, არა აქვთ სრულყოფილი ბაზები საწარმოო სწავლებისათვის.

სკოლა-ინტერნატების ნაწილს დღემდე არა აქვს სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები, ლაბორატორიები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთიც კი. სუსტია სკოლა-ინტერნატების კავშირი საწარმოებთან, კოლმეურნეებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან.

სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა, აღმზრდელთა და ხელმძღვანელთა კადრების შერჩევის საქმეში დაშვებულია შეცდომები. ზოგიერთ აღმზრდელს არა აქვს პედაგოგიური მუშაობის გამოც-

დილება; ისინი ფორმალურად მუშაობენ და არ აწარმოებენ სათანადო აღმზრდელობით მუშაობას ბავშვთა შორის. მარტო კოჯრის სკოლა-ინტერნატში მცირე დროში, შეცვლილი იქნა 2 დირექტორი და 17 მასწავლებელი, რომელთაც თავი ვერ გაართვეს მუშაობას.

სასწავლო პროცესის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისა და იმის შედეგად, რომ დანერგილი არ არის თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკა, დაბალია აღსაზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საერთო მომზადების დონე. ბევრი მათგანი ჩამორჩება სწავლაში. 1958/59 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით სკოლა-ინტერნატების 2395 აღსაზრდელიდან კურსის განმეორებით გასავლელად იმავე კლასში დატოვებულ იქნა 181 აღსაზრდელი. განსაკუთრებით დაბალი აკადემიური მოსწრებაა განთიადის, ბროწეულას, ქუთაისის მე-2 და თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატებში.

მოსწავლეთა აღზრდის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არც ერთ სკოლა-ინტერნატში არ ექცევა ყურადღება ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს, ცუდად არის დაყენებული მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისა და მათში კულტურული ქცევის ჩვევების დანერგვის საქმე.

სუსტია სკოლა-ინტერნატებში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. არ იგრძნობა ზრუნვა ბავშვთა კოლექტივის შესამჭიდროებლად, აღსაზრდელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად.

სუსტადაა დაყენებული აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, არ ხორციელდება სამედიცინო კონტროლი აღსაზრდელთა კვების ხარისხზე და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვაზე.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ღრმად არ წვდებიან სკოლა-ინტერნატების საქმიანობას და სისტემატურ დახმარებას არ უწევენ მათ მუშაობის გაუმჯობესებისათვის; სუსტად ანზოგადებენ და ნერგავენ პრაქტიკაში მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ღადუა) მიიღოს ყველა ზომა, რომ სათანადო ორგანიზაციები სკოლა-ინტერნატების მშენებლობის დოკუმენტაციას ადგენდნენ თავის დროზე, ხოლო მშენებელი ორგანიზაციები სკოლა-ინტერნატების მშენებლობას ასრულებდნენ დადგენილ ვადებში და მაღალი ხარისხით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიღონ სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებას; მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ სკოლა-ინტერნატში იყოს მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები და ლაბორატორიები, რომ სკოლა-ინტერნატები უზრუნველყოფილ იქნან სასწავლო საცდელი ნაკვეთებით. მიიღონ ზომები სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსებისა და აგრეთვე სკოლა-ინტერნატების ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან სამეურნეო, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა;

გ) ყოველმხრივი პროპაგანდა გაუწიონ იმ მოწინავე კოლმეურნეობათა სასახელო ინიციატივას, რომლებიც საკუთარი სახსრებით აშენებენ სკოლა-ინტერნატებს;

დ) შექმნან აუცილებელი პირობები მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიერ ერთ-ერთი პროფესიის დაუფლება. მიაღწიონ სკოლა-ინტერნატების კავშირის განმტკიცებას სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან;

ე) ყოველმხრივ გაზარდონ სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და აღმზრდელების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების საქმეში, რომ ისინი ღრმად და მტკიცედ ითვისებდნენ მეცნიერებათა საფუძვლებს; უზრუნველყონ სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან, აღზარდონ ბავშვები კომუნიზმის სულისკვეთებით, გამოიმუშაონ მათში კულტურული ქცევის წესები; მიაღწიონ მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ეირეულ გაუმჯობესებას;

ვ) მიღონ ზომები სკოლა-ინტერნატების კვალიფიციური, გამოცდილი ხელმძღვანელებით, მასწავლებლებითა და აღმზრდელებით განსამტკიცებლად, სისტემატურად იზრუნონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური დახელოვნების ასამაღლებლად;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესონ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, აამაღლონ მათი როლი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და შრომითი აღზრდის საქმეში. შექმნან ბავშვთა ჯანსაღი. შემჭიდროებული კოლექტივი;

თ) დააყენონ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე შეუფერებელი სამედიცინო პერსონალის შეცვლის შესახებ. მიიღონ გა-

დამჭრელი ზომები სკოლა-ინტერნატებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის, განახორციელონ მუდმივი კონტროლი ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე, მათ შრომით დატვირთვაზე, დღის რეჟიმის შესრულებაზე, აღსაზრდელთა კვების ხარისხზე;

ი) მკაცრად მოითხოვონ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან, რომ სკოლა-ინტერნატები შეუფერხებლად მარაგდებოდნენ ნორმით გათვალისწინებული ყველა სახის პროდუქტებით (განსაკუთრებით ხილითა და ბოსტნეულით);

კ) უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატები საჭირო მოწყობილობით და ინვენტარით;

3. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) გააძლიეროს სკოლა-ინტერნატების მუშაობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა, მიაღწიოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძიერეულად გაუმჯობესებას; ღრმად შეისწავლოს და განაზოგადოს სკოლა-ინტერნატების მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 2575/ბ

1959 წ. 2 დეკემბერი

ნორჩ პიონერთა შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით შემდეგი პიონერული მუშაკები:

1. ბერიანიძე შალვა ზაქარიას-ძე—ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი;

2. დევდარიანი შოთა ალექსანდრეს-ძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლეთა შორის მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი;

3. ვარდოსანიძე გიგუცა ბესარიონის-ძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე;

4. შოთაშვილი ივანე ანდრიას-ძე—ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექტორი;

5. ცერცვაძე ივანე ნიკოლოზის-ძე—გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 2 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 2575/3

1959 წ. 2 დეკემბერი

ნორჩ ნატურალისტთა შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მუშაკები:

1. მახარაძე ვლადიმერ ფილიპეს-ძე;
2. ჟღენტი სევერიან მიხეილის-ძე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 9 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1420

1959 წლის 12 დეკემბერი

საბავშვო ბაღებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

როგორც შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა მიმდინარე წელს საბავშვო ბაღების უმეტესმა ნაწილმა მომზადებულად დაიწყო საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა როგორც აგარაკებზე გასულმა, ისე ადგილზე—მოედნებზე.

აგარაკებზე საბავშვო ბაღების უმრავლესობა მოთავსებული იყო შესაფერის ბინებში, უზრუნველყოფილი იყო საჭირო ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით, ზუსტად სრულდებოდა დღის რეჟიმი, კვება მრავალფეროვანი და სრულფასოვანი იყო, ბავშვებთან ტარდებოდა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, მეცადინეობები, ექსკურსიები და გასეირნება-გართობანი. ასეთებია: ქ. თბილისის მე-3, მე-11, 25-ე, 37-ე, 76-ე, სარეწაო დამზღვევი საბჭოს 95-ე, ქუთაისის მე-2, მე-11, ფოთის მე-2, გორის მე-4, ზესტაფონის მე-2, სამტრედიის 1-ლი და სხვა საბავშვო ბაღები. კარგად მუშაობდნენ აგრეთვე ადგილზე დარჩენილი ბორჯომის № 1 და წაღვერის საბავშვო მოედნები.

ბავშვებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით, ყურადღებითა და სწორი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობით გამოირჩეოდნენ აღმზრდელები: ე. კევლიშვილი, რ. აბესაძე (ქ. თბილისის მე-3, მე-11 საბავშვო ბაღები), დ. პაპავა (სამტრედიის № 1), თ. ლოლაძე (ზესტაფონის მე-2), ს. იობაშვილი (ბორჯომის № 1 საბავშვო ბაღი).

ზოგ საბავშვო ბაღს კი საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა, მაგალითად, სოხუმის № 10

საბავშვო ბაღის (გამგე ლ. გაიდამაკი) ჯგუფები მოუწესრიგებელი იყო, ბავშვების საწოლი ოთახები კი გადატვირთული ზედმეტი ნივთებითა და მომსახურე პერსონალის ტანსაცმელით. ბავშვებთან ერთად ეძინათ თანამშრომლებსა და მათს შვილებს, იზოლატორის ოთახი საძინებლად იყო გამოყენებული, ავადმყოფი ბავშვი კი საერთო საძინებელ ოთახში იწვა. თანამშრომლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რეჟიმი დარღვეული იყო, ბავშვები 9 საათზე დგებოდნენ და 10 საათზე საუზმობდნენ (საათნახევარი დაგვიანებით). ლოგინის თეთრეული ჭუჭყიანი იყო, საბნები ჩიხოლგამოუკრავი. შემოწმების დღეს გასავლის ფაქტურა გამოწერილი არ იყო, თანამშრომლებს არ ჰქონდათ სანიტარული შემოწმების წიგნაკები, საექიმო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელი იყო, აგარაკიდან წაყვანილ ბავშვებზე არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, ამასთან შტატი არასრულყოფილი იყო, რის გამო ბავშვების მომსახურება ფერხდებოდა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ზუგდიდის № 1 საბავშვო ბაღში (გამგე ო. ქეცბაია). შემოწმების დღეს აღნიშნული საბავშვო ბაღიდან მშობლების მიერ წაყვანილი იყო 11 ბავშვი, სახეზე იყო 39, ფაქტურა კი 50 ბავშვზე იყო გამოწერილი. ჟურნალებში ბავშვების დასწრების აღრიცხვა არ სწარმოებდა, პროდუქტების გასავლის ფაქტურები ფიქტიური იყო. ნამდვილი, დანომრილი ფაქტურის ფურცლები კი შეუვსებელი სახით ინახებოდა. თბილისის მე-14 საბავშვო ბაღს გასავლის ფაქტურები დაუნომრავი ჰქონდა.

მოუწესრიგებელი იყო წალენჯიხის საბავშვო ბაღი (გამგე ვ. ზარანდია), შემოწმების დღეს ფაქტურა გამოწერილი იყო 34 ბავშვზე, სახეზე კი 32 იყო. ექთანს გ. შონიას მოუწესრიგებელი ჰქონდა დოკუმენტაცია.

სტალინირის 1-ლ და მე-3 საბავშვო ბაღებში ფართობის სივიწროვისა და საწოლების უქონლობის გამო ხშირად 2 ბავშვს ერთ საწოლზე აწვენენ. ხშირია შემთხვევა საბავშვო ბაღებში, როდესაც კერძებს დამლაგებლები ანაწილებენ, რაც სანიტარული თვალსაზრისით დაუშვებელია. ხოლო თბილისის 61-ე საბავშვო ბაღში სამზარეულოში დამხმარედ მრეცხავი იყო გამოყენებული, რომელსაც საექიმო შემოწმებაც კი არ ჰქონდა გავლილი.

საბავშვო ბაღები სანაგვე ყუთებს არ უკეთებენ სისტემატურ დეზინფექციას (თბილისის მე-9, ხაშურის, სურამის, სტალინირის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 საბავშვო ბაღები).

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, საბავშვო ბაღების რიგ თანამშრომლებს აგარაკზე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან ერთად წაყვანილი ჰყავდათ თავიანთი შვილები, (სოხუმის № 10,

ზუგდიდის № 1, წალენჯიხის საბავშვო ბაღები), ბოლნისის საბავშვო ბაღის აღმზრდელს ნ. მდივანს სკოლის ასაკის ორი ბავშვი ჰყავდა წაყვანილი, რომლებსაც ჯგუფში აძლევდა საჭმელს, ამავე ბაღის ექიმს წაყვანილი ჰყავდა ძუძუმწოვარა ბავშვი თავისი მომვლელით, რომლებიც ამბულატორიის ოთახში ცხოვრობდნენ.

საბავშვო ბაღების უმრავლესობას თან არ ჰქონდა საგარაკოდ გასასვლელ ბავშვთა დამტკიცებული სია შესაბამისი განათლების განყოფილებების მიერ.

ზოგ შემთხვევაში საბავშვო ბაღები სამედიცინო პერსონალის გარეშე გადიან აგარაკზე, მაგალითად, სამგორის რაიონის გარდაბანის საბავშვო ბაღს 100 ბავშვზე არც ექიმი ჰყავდა და არც ექთანი, ასეთივე მდგომარეობა იყო მანგლისის, სურამის, წულუკიძის, წყალტუბოს, აბაშის, ხაშურისა და ბორჯომის საბავშვო ბაღებში,

მიმდინარე წლის ზაფხულში აღინიშნებოდა ინფექციის ხშირი შემთხვევა: დიფტერიის, წითელის, ქუნთრუშის, ყბაყურის, ანგინის (თბილისის მე-4, მე-14, მე-16, 32-ე, ჭიათურის, წულუკიძის ჩაის ფაბრიკის და სხვა საბავშვო ბაღები). ზემოდ აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ ეპიდსადგურები და საბავშვო ბაღების გამგეები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმებისა და დოკუმენტაციის საქმეს და ბავშვები სანიტარული დამუშავების გარეშე იგზავნებიან აგარაკზე.

იმის გამო, რომ საბავშვო ბაღებს არა აქვს თერმომეტრები, თერმომეტრიზაციის ჩატარებას სისტემატური ხასიათი არა აქვს.

აგარაკზე გასული საბავშვო ბაღები არ იცავენ საგარაკოდ დადგენილ ვადებს, ნაცვლად 75 დღისა რჩებიან 50—55—60 დღე, მაგ. წალენჯიხის საბავშვო ბაღი 40 დღით იყო გასული საგარაკოდ, სურამისა კი 51 დღით და სხვა.. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ საბავშვო ბაღები დაფინანსებას არ ღებულობენ დროზე და და აგარაკზეც გვიან გადიან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზაფხულის პერიოდში საგარაკოდ გასულ ბაღებს ბუხჰალტრები თან არ ახლავთ, ისინი შეთავსებით მუშაობენ რამოდენიმე დაწესებულებაში, რის გამო საბავშვო ბაღებში დროზე არ ხდება ბავშვთა კვების გაანგარიშება, ფაქტურების გაფორმება (თბილისის მე-14, ქ. ქუთაისის მე-2, მე-5, მე-10, მე-11, მე-13, მე-14, სოხუმის მე-10, სურამის, ქარელის, ხაშურის და სხვა საბავშვო ბაღები).

მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, მანგლისის ადგილობრივ საბავშვო ბაღში მდგომარეობა გამოუსწორებელია: ბავშვების გარეგნობა და ჰიგიენა არადამაკმაყოფილებელია, მათ არ აქვთ

პირსახოცები და ხელსაწმენდები, ბავშვებთან გამაჯანსაღებელი მუშაობა არ ტარდება, ფაქტურა არ იწერება.

ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო ბოლნისის საბავშვო ბაღში, რომელიც სააგარაკოდ მანგლისში იყო გასული. საბავშვო ბაღს დაქირავებული ჰქონდა ბნელი, უჰაერო ოთახები, ბავშვები გამოუკრავ ლოგინში იწვნენ, პროდუქტების შესანახად ოთახი არ ჰქონდათ, ყველაფერი ტახტზე ეწყო, ხოლო თბილისის მე-19, 57-ე, გორის მე-3 საბავშვო მოედნებზე თეთრეული პროდუქტების საწყობში ინახებოდა.

საბავშვო ბაღებს არა საკმაო რაოდენობით აქვთ ღამის ქოთნები და ამავე დროს მათ არ უკეთდება საჭირო დეზინფექცია.

ჭურჭლის რეცხვის დროს არ იყენებენ ქიმიკალებს, რის გამო ჭურჭლის რეცხვის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია სტალინირის მე-2, მე-3, თელავის მე-5 საბავშვო ბაღებში.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამზარეულოების მოწყობას: მაგიდები გადაკრული არ არის უჟანგავი თუნუქით, არასაკმაო რაოდენობით აქვთ ფიცრები, დანები და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, ზუგდიდისა და წალენჯიხის განათლების განყოფილებათა გამგეებს— პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვიანობის დარღვევისა და დაწესებულებაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობისათვის საბავშვო ბაღების გამგეებს ლ. გაიდამაკს, ო. ქეცბაიასა და ვ. ზარანდიას დადონ სათანადო სასჯელი და შედეგი აცნობონ სამინისტროს;

2. მკაცრად იქნან გაფრთხილებულნი ბოლნისის და მანგლისის და საბავშვო ბაღების გამგეები ე. სოლოღაშვილი და ზ. ქეშელაშვილი საბავშო დაწესებულების მოუწესრიგებლობისა და საზაფხულო—გამაჯანსაღებელ მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

3. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა/ გაითვალისწინონ ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და მომავალში არ დაუშვან მსგავსი შემთხვევები;

ბ/ მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა მომავალში აგარაკზე გამსვლელი და სამოედნო მუშაობაზე გადასაყვანი საბავშვო ბაღები მომზადებული შეხვდნენ საზაფხულო—გამაჯანსაღებელი მუშაობის დაწყებას;

გ/ აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას განათლების განყოფილებათა საბჭოებზე და დაყვანილ იქნას საბავშვო ბაღის თითოეულ მუშაკამდე.

4. ეცნობოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსადგურებისა და საბავშვო ბაღების ექიმების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ, ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი დროის პერიოდში.

5. საბავშვო სახლების სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ვ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივი დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა კოლექტივის 1959 წლის მე—6 საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგების შესახებ 3
2. მიმართვა № 1/2108 11
3. მითითებები X კლასში ავტომობილის (ტრაქტორის) მართვის დაუფლებისათვის მეცადინეობის ჩატარების შესახებ 12
4. ბრძანება № 1359—აჭარის ასს რესპუბლიკის, ს/ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქ. ჭიათურის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და სამგორის რაიონების სკოლებში საყოველთაოსავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ 15
5. ბრძანება № 1365—საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ . 20
6. მიმართვა № 6—3/149 22
7. ბრძანება № 1375—სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის, მათი ქსელის გაფართოებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 23
8. ბრძანება № 2575/კ—პიონერული მუშაკების „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ 26
9. ბრძანება № 2574/კ—ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მუშაკთა „სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ 29
10. ბრძანება № 1420—საბავშვო ბაღებში საზაფხულო—გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 30

5 · 7/92
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 12/I—60 წ., ანაწყობის
ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,25
შეკვ. № 1335, ტირაჟი 5000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ., № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. уш. Чхеидзе, № 19.